

რეფორმა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემაში

ბათუმი
2018

- ▶ 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რის საფუძველზეც საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმა დაიწყო
- ▶ რეფორმის მიზანი - საქართველოში ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი მომსახურების ხელმისაწვდომობის, თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და ხარისხის გაუმჯობესება
- ▶ რეფორმის მიხედვით მუნიციპალურ დონეზე ხარისხიან სკოლამდელ მომსახურებაზე, მართვაზე, დაფინანსებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

- ▶ მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას ხელსაყრელი გარემო თანამედროვე, ხარისხიანი, აღსაზრდელებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარებისათვის და ბავშვების სასკოლო მზაობისათვის.
- ▶ რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის და სისტემის სწრაფი განვითარებისთვის აუცილებელია კანონის და შესაბამისი სტანდარტების აღსრულება ყველა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის

ავტორიზაცია

- ❑ რეფორმის მიხედვით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების განსახორციელებლად ყველა საბავშვო ბაღი ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია
- ❑ ავტორიზაციის გავლის წესი დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით
 - დაწესებულების ავტორიზაციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული
 - დაწესებულების ავტორიზაცია უფასოა
 - ავტორიზაცია უნდა დასრულდეს 2018 წლის 31 დეკემბრამდე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის პირობებს, თუ:

- ❑ დაწესებულებაში სწავლა/სწავლება ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად
- ❑ დაწესებულების შენობა-ნაგებობა, ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობა-ნაგებობის მოწყობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს
- ❑ დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს
- ❑ დაწესებულებაში კვების ორგანიზება და რაციონის კვებითი ღირებულება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს
- ❑ დაწესებულებაში ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს და სხვა პერსონალისთვის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების
სახელმწიფო სტანდარტები

დამტკიცდა
საქართველოს მთავრობის
№488 დადგენილებით
2017 წლის 30 ოქტომბერს

განთავსებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე
<https://matsne.gov.ge>

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მიზნები

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობა

სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების მიზნით მისაღწევი შედეგების განსაზღვრა დაბადებიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე

აღზრდისა და განათლების შედეგების განსაზღვრა 2 წლიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე

დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს შექმნა

ბავშვის განმავითარებელი უსაფრთხო და პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა

სტანდარტის სტრუქტურა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო
სტანდარტები

ბავშვის აღზრდისა და
განათლების სტანდარტი

სასკოლო მზაობის
საგანმანათლებლო
სახელმწიფო სტანდარტი

დაწესებულებების გარემოსა და
სასწავლო-აღმზრდელობითი
პროცესის ხარისხის სტანდარტი

ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი

შედგება 3 ნაწილისაგან:

- ა) 0-დან 2 წლამდე ბავშვის ადრეული განვითარების სტანდარტები;
- ბ) 2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები;
- გ) 3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები.

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი

სტანდარტში განსაზღვრულია ერთი აკადემიური წლის ბოლოს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის მიერ მისაღწევი შედეგები მისი ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და ემოციური განვითარებისთვის.

დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-
აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტი

სტანდარტის მიმართულებებია:

უსაფრთხოება და დაცულობა

კურიკულუმი და მეთოდოლოგია

ფიზიკური გარემო

ურთიერთობა

საგანმანათლებლო პროცესი

ოჯახისა და თემის მონაწილეობა

კულტურული მრავალფეროვნება და
ინკლუზია

მართვა და შეფასება

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

დამტკიცდა
საქართველოს მთავრობის
დადგენილება №478
2017 წლის 27 ოქტომბერი

განთავსებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე:
<https://matsne.gov.ge>

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის მიზანი

სტანდარტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება

სტანდარტი განსაზღვრავს თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა ფლობდეს აღმზრდელ-პედაგოგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სააღმზრდელო-პედაგოგიური საქმიანობის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასებისთვის

აღმზრდელ - პედაგოგის პროფესიული სტანდარტის სტრუქტურა

აღმზრდელ-პედაგოგის განათლება

განსაზღვრულია სწავლის სფეროები, აკადემიური ხარისხები და სამუშაო გამოცდილება 2024 წლის 1 სექტემბრამდე დასასაქმებელი და 2024 წლის 1 სექტემბრიდან დასასაქმებელი აღმზრდელ-პედაგოგებისათვის

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მახასიათებლები

განსაზღვრულია აღმზრდელ-პედაგოგის დარგობრივი ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები, ღირებულებები და პროფესიული ეთიკა

სააღმზრდელო - საგანმანათლებლო გარემო და პროცესი

შედგება შემდეგი მუხლებისაგან:
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
სოციალური გარემო;
ფიზიკური გარემო;
დაკვირვება და შეფასება;
ეფექტური სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი;
ინკლუზიური განათლება;
თანამშრომლობა.

უწყვეტი პროფესიული განათლება და თვითგანვითარება

განსაზღვრავს აღმზრდელ - პედაგოგის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მიმართულებებს: საკუთარი პროფესიული განვითარებით დაინტერესება, თანამშრომლობა კოლეგებთან და დარგის სპეციალისტებთან

ტექნიკური რეგლამენტი რაციონის კვებითი ღირებულებისა და კვების ორგანიზების შესახებ

დამტკიცდა
საქართველოს მთავრობის
№ 487 დადგენილებით
2017 წლის 30 ოქტომბერი

განთავსებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე:
<https://matsne.gov.ge>

ყველა ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც კვების
ორგანიზაციასა და სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს შეეხება,
ხელმისაწვდომია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ველში -
ჰიგიენური ნორმირება

<http://moh.gov.ge/ka/487/>

რეგლამენტის მიზანი:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზების ისეთი წესებისა და რაციონის კვებითი ღირებულების დადგენა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- ბავშვების ოპტიმალური ზრდა და განვითარება
- კვებითი დეფიციტის აღმოფხვრა
- სიმსუქნის პრევენცია
- კვებასთან დაკავშირებული დაავადებების პრევენცია

ძირითადი დებულებები:

- ❑ ბავშვებისათვის განკუთვნილი სურსათი უნდა იყოს უვნებელი და აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს
- ❑ რაციონის კერძების ნაკრები უნდა იყოს მრავალფეროვანი და უზრუნველყოფდეს ბავშვთა ორგანიზმის მოთხოვნილებებს ძირითად საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე
- ❑ ბავშვთა კვების ორგანიზება უნდა უზრუნველყოფდეს კვების რეჟიმის ზედმიწევნით დაცვას
- ❑ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონტროლი აკრძალულ და შეზღუდულად გამოყენებულ სურსათსა და დანამატებზე
- ❑ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანსაღი და უსაფრთხო სასადილო გარემო
- ❑ კვების ბლოკის ფუნქციონირება (მოწყობა, აღჭურვა, სანიტარია და ჰიგიენა) უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სურსათის მიწოდებას

ძირითადი დებულებები:

❑ ბავშვის კვების რეჟიმი და დღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულების გადანაწილება:

- საუზმე და დილის წახემსება $\approx 20\% + 10\%$
- სადილი და შუადღის წახემსება (სამხარი) $\approx 30\% + 15\%$
- ვახშამი და საღამოს წახემსება $\approx 15\% + 10\%$

❑ ბავშვის ყოველდღიურ რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს:

- პური და მარცვლოვნები
- ხილი და ბოსტნეული
- რძე და რძის ნაწარმი
- ცილოვანი პროდუქტები



ძირითადი დებულებები:

❑ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში კვება უნდა უზრუნველყოფდეს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციას, რისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს:

- დაბალი ცხიმის შემცველობის სურსათი, ნაჯერი ცხიმები ჩანაცვლდეს უჯერი ცხიმებით
- მარილის/ნატრიუმის ნაკლები შემცველობის სურსათი, მარილის შეზღუდული რაოდენობა – დღეში <1200 მგ ნატრიუმი/3 გ მარილი
- შაქრის ნაკლები შემცველობის სურსათი
- არ იქნეს გამოყენებული ტრანსცხიმების შემცველი სურსათი

რეგლამენტის აღსრულებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების დონეზე

- კვების ბლოკის მოწყობა და აღჭურვა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად
- კვების ბლოკის თანამშრომელთა ჰიგიენისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა
- პერსპექტიულ მენიუებზე დაყრდნობით ყოველდღიური მენიუ-განრიგების გაწერა
- ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი კერძების ხარისხზე ყოველდღიური კონტროლის განხორციელება
- აკრძალული და შეზღუდულად გამოყენებადი სურსათის მიწოდების კონტროლის უზრუნველყოფა
- სურსათის შენახვისა და მომზადებისათვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფა

შესაძლო გამოწვევები და მათი დაძლევის გზები:

- ❑ *პრობლემები რეგლამენტის შესაბამისი პერსპექტიული მენიუებისა და მენიუ-განრიგების შემუშავებასთან დაკავშირებით*
 - შესაძლებელია ექსპერტის დახმარების გამოყენება
 - ტექნიკური რეგლამენტის სარეკომენდაციო მენიუს გამოყენება
 - სხვა დაწესებულებების გამოცდილების გათვალისწინება
- ❑ *უკმაყოფილება საკვებში შემცირებული მარილისა და შაქრის რაოდენობის გამო*
 - შაქრისა და მარილის გამოყენების თანდათანობით შეზღუდვა
 - საგანმანათლებლო მუშაობის (მაგ., თამაშების სახით) გააქტიურება ბავშვებში ჯანსაღი კვების მნიშვნელობაზე
 - საგანმანათლებლო აქტივობები მშობლებისთვის ჯანსაღი კვების საკითხებსა და მის მნიშვნელობაზე
 - მენიუს ხშირი განახლება ისეთი კერძებისა და სასმელების ხარჯზე, რომლებიც ნაკლები მარილისა და შაქრის გამოყენებას საჭიროებს

სურსათის ყოველდღიური ნორმების შედარების ცხრილი

№	პროდუქტის დასახელება	ნორმა გრამებში ახალი		ნორმა გრამებში ძველი	
		ბრუტო	ნეტო	ბრუტო	ნეტო
1	პური ხორბლის	100	100	55	55
2	ფქვილი ხორბლის	10	10	16	16
3	ბურღულეული	20	20	20	20
4	კარტოფილი	120	84	120	84
5	ბოსტნეული	180	144	180	144
6	ხილი ახალი	120	96	90	72
7	ხილი მშრალი (ჩირი)	10	10	10	10
8	საკონდიტრო ნაწარმი	4	4	4	4
9	შაქარი	25	25	35	35
10	კარაქი ნაღების	12	12	12	12
11	ზეთი მცენარეული	10	10	5	5
12	კვერცხი ცალობით	0.5	24	1/4	10,3
13	რძე	450	450	500	500
14	ხაჭო 6% ცხიმ.	20	20	40	40
15	არაჟანი	5	5	5	5
16	ყველი	12	10.2	3	3
17	ხორცი საქონლის რბილი	44	40	60	42
18	თევზის ფილე	20	18.4	20	10
19	ქათმის ფილე	20	18.4	-	-
20	ჩაი ხილის	0.2	0.2	0,2	0,2
21	მარილი	1	1	2	2
22	ენერგეტიკული ღირებულება	1292.84 კკალ		1314.7 კკალ	

ტექნიკური რეგლამენტი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და
განათლების დაწესებულებების
სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების შესახებ

დამტკიცდა
საქართველოს მთავრობის
№485 დადგენილებით
2017 წლის 27 ოქტომბერი

განთავსებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე:
<https://matsne.gov.ge>

რეგლამენტის მიზანი

- ❑ ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიისა და ჰიგიენის უზრუნველყოფისადმი
- ❑ ტექნიკური რეგლამენტი განკუთვნილია ყველა ტიპის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის, მიუხედავად საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა

რეგლამენტის შინაარსობრივი სტრუქტურა

- ▶ მოთხოვნები მიწის ნაკვეთისადმი
- ▶ მოთხოვნები შენობებისადმი
- ▶ მოთხოვნები განათებისა და წყალმომარაგებისადმი
- ▶ მოთხოვნები სათავსების მოწყობისადმი
- ▶ მოთხოვნები სათავსებისა და ნაკვეთის სანიტარიული მდგომარეობისადმი
- ▶ მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი
- ▶ მოთხოვნები წყლით უზრუნველყოფისადმი
- ▶ მოთხოვნები სანიტარიული კვანძის დაგეგმარებისა და სანიტარიული მდგომარეობისადმი
- ▶ მოთხოვნები შენობებისადმი, რომლებიც განთავსებულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილ დასახლებებსა და ისეთ დასახლებებში, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვების რაოდენობა არ აღემატება 30-ს
- ▶ მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი
- ▶ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სანიტარიული ნორმების ზედამხედველობის წესი

შიდა ეზო იმგვარად უნდა დაპროექტდეს, რომ პერიმეტრზე განთავსებულმა შენობებმა ხელი არ შეუშალოს მზის სხივის შეღწევას ეზოში



დაწესებულების ტერიტორიაზე გათვალისწინებული უნდა იყოს შემოსვლის შესაძლებლობა სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო, სამაშველო მანქანებისათვის, ავტობუსისთვის, საბავშვო ბაღის ბუფეტის ან სამზარეულოს მომარაგებისათვის და ა.შ.

გამწვანებას უნდა ეჭიროს ნაკვეთის ფართობის არანაკლებ 40%, ხოლო პარკირებისათვის 5% არის საჭირო

- ❑ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების ტერიტორიის მთავარი შესასვლელი სასურველია მოშორებული იყოს მაღალი ინტენსივობის სატრანსპორტო მაგისტრალიდან (ან გაიმიჯნოს ხელოვნური ბარიერების (მაგ.: კუნძულის) ან სხვა გამომყოფი საშუალების გამოყენებით)
- ❑ დაწესებულების ტერიტორიისათვის ყველაზე სასურველია მეზობლად საზოგადოებრივი პარკის ან სიმწვანით მდიდარი სხვა ტერიტორიის, ასევე საზოგადოებრივი ავტოსადგომის არსებობა.

დაუშვებელია ფოთლების დაწვა ღია ცის ქვეშ, რადგან წვისას გამოიყოფა ჯანმრთელობისათვის საშიში, მომწამლავი აირები

- ტერიტორია ყოველდღიურად უნდა დასუფთავდეს, ხოლო ნაგავი მოგროვდეს და ჩაიყაროს ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში
- ეზო უნდა შემოიღობოს, რათა დაცული იქნეს გარეშე პირების უნებართვო შეღწევისაგან, ასევე სასურველია, ადმინისტრაციული სათავსების ფანჯრებიდან ადვილად შეიძლებოდეს თვალყურის მიდევნება ეზოს მთელ პერიმეტრზე. შემოღობვა, ასევე მნიშვნელოვანია ცხოველების შეღწევისა და მათი ექსკრემენტებით ეზოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.



შენობის შიგნით სასწავლო-სააღმზრდელო სათავსების განაწილებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვთა ასაკი და ფართობის ფუნქციური დანიშნულება.

- ▶ ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფები პირველ სართულზე განთავსდეს, ხოლო ზოგადად, საბავშვო ბაღის სართულიანობა, სასურველია, ორს არ აღემატებოდეს.
- ▶ ჯგუფის ძირითადი ოთახების განთავსება შენობის სარდაფსა და ნახევრადსარდაფში დაუშვებელია, მიკროკლიმატისა და ბუნებრივი განათების სათანადო პარამეტრების უზრუნველყოფის დაბალი შესაძლებლობის გამო.



ბუნებრივი განათების მინიმალური კოეფიციენტი (ზგკ) ჯგუფებში, საძინებლებში, სამედიცინო ოთახებში, მუსიკისა და ფიზკულტურული ვარჯიშების ოთახებში უნდა იყოს არანაკლებ 15%-ისა.

- ▶ ოთახის განათებულობის დონეს მნიშვნელოვნად ამცირებს ოთახის ყვავილების (განსაკუთრებით მაღალი ზომის) განთავსება ფანჯრის რაფებზე.
- ▶ ამიტომ, რეკომენდებულია ფანჯრის რაფა იატაკიდან არაუმეტეს 60-70სმ-ით იყოს დაშორებული, ხოლო მასზე არ იყოს განლაგებული სხვადასხვა საგნები, მათ შორის ყვავილები.
- ▶ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყვავილები ფანჯრის დიობის მხოლოდ 20%-ს ფარავს, ეს იძლევა სინათლის 15-23%-იან დანაკარგს.



შენობის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა, უნდა ითვალისწინებდეს კომფორტულ და ხელმისაწვდომ გარემოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის

- ❑ შენობაში მოსახერხებელი უნდა იყოს გადაადგილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტები უნდა გაკეთდეს კორიდორების, კიბის უჯრედებისა და საპირფარეშოების სათანადო პარამეტრებით დაგეგმარებაზე, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად.



ჰიგიენური თვალსაზრისით ნორმალური საჰაერო გარემო, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირობას ბავშვების ჯანმრთელობისა და მაღალი შრომისუნარიანობისათვის

- ▶ კეთილსასურველი გარემოს შესაქმნელად, აუცილებელია მთელი შენობის გულმოდგინედ განიავება განიავების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე შენობის გარეთ, ქარის მიმართულებაზე, გამათბობელი სისტემის ეფექტურობაზე და უნდა დასრულდეს 20-30 წუთით ადრე ბავშვების ჯგუფებში დაბრუნებამდე.
- ▶ წელიწადის თბილ პერიოდში რეკომენდებულია შენობის განუწყვეტელი აერაცია, ცივ პერიოდში დასაშვებია ჰაერის ტემპერატურის ხანმოკლე დაქვეითება 180C–მდე სკოლამდელი (2 წლის ზევით) და 190C–მდე ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვებისათვის.
- ▶ ბავშვები ჰაერზე უნდა გაასეირნონ არანაკლებ დღეში 2-ჯერ.
- ▶ არ უნდა იქნეს შემცირებული ბავშვების ჰაერზე ყოფნის დრო, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს დროის განაწილების რეჟიმით/პროგრამით;
- ▶ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბავშვების საკმაოდ მაღალი მოძრავი აქტივობა გასეირნების დროს შესაფერისი ტანსაცმლის პირობებში.

ტუალეტების კარგი დიზაინი და სისუფთავე, დადებითი ქცევის ჩამოყალიბების წახალისებას იწვევს ბავშვებში და ამცირებს ვანდალიზმს


- ▶ ყველა სართულზე უნდა არსებობდეს ტუალეტები ბიჭებისა და გოგონებისათვის, რომელსაც უნდა ჰქონდეს კარებიანი კაბინები (უმჯობესია ჩამკეტის გარეშე).
- ▶ სან-კვაძი უნდა მოეწყოს შემდეგი განგარიშებით: 10-12 ბავშვზე 1 უნიტაზი და 1 ხელსაბანი ნიჟარა;
- ▶ სან-კვანძის ფართობი გამოითვლება 1 ბავშვზე 0,15მ² გადაანგარიშებით. ტუალეტის კარი კაბინის შიგნით უნდა იღებოდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვების დაზიანება.

ადმინისტრაციისა და ბავშვებისათვის უნდა
არსებობდეს ცალკე სან-კვანძი.
სან-კვანძებს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი განათება და
ვენტილაცია



ერთი ტუალეტი მაინც უნდა იქნეს მოწყობილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან

- ▶ ბიჭებისა და გოგონების ტუალეტს შეიძლება ჰქონდეს საერთო ხელსაბანი არე.
- ▶ მიზანშეწონილია, ტუალეტის ბლოკი განთავსდეს ადმინისტრაციული სათავსების სიახლოვეს, რაც პასიური ზედამხედველობის განხორციელების საშუალებას იძლევა მთელი დღის განმავლობაში.



უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საკმარისი და უვნებელი სასმელი წყლის სრული ხელმისაწვდომობა

- ▶ სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის და მისი ხარისხი შეესაბამებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- ▶ წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის, ან წყლის შეფერხებებით მოწოდების შემთხვევაში, დაწესებულებას აუცილებლად უნდა გააჩნდეს წყლის რეზერვუარი (ავზი).
- ▶ წყლის ავზების დამუშავება ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს, ხოლო სასმელი წყლის რეზერვუარში წყლის ცვლა ყოველ 48 საათში უნდა ხდებოდეს.

რეგლამენტის მიზანი



ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის შეიქმნას ყველა პირობა მათი ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის.



ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი მიზანია საბავშვო ბავშვის დაგეგმარება მოხდეს ისე რომ შეიქმნას უსაფრთხო და ბავშვზე ორიენტირებული გარემო.


შენიშვნა მიუხედავად იმისა განთავსებული იქნება ურბანულ თუ არა ურბანულ გარემოში ერთნაირად უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, გამწვანების, ინსოლაციისა და განათების ნორმებს.

მშენებლობისას არ უნდა იქნას გამოყენებული საფრთხის შემცველი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალა მაგალითად აზბესტისშემცველი და ფენოლის ფისზე დამზადებული მასალები, ბავშვის ტერიტორია დაცული უნდა იყოს, ჯანმრთელობისათვის საშიში გაფრქვევის წყაროების (მაგ.: ნაგავსაყრელი), მაღალი ინტენსივობის საავტომობილო მაგისტრალის, აეროპორტის, რკინიგზის, სხვა ხმაურიანი, აგრეთვე ინდუსტრიული ზონების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მავნე ზემოქმედებისაგან.

რეგლამენტი თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით ადგენს საპროექტო ელემენტებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების დაგეგმარებისადმი.

რეგლამენტის ძირითადი დებულებები

- ▶ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ყველა პირობის შექმნა მათი ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის;
- ▶ საბავშვო ბაღის ტერიტორიის დაცულობა;
- ▶ ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გეგმარებითი კრიტერიუმების დადგენა



- ❖ შენობა-ნაგებობების საპროექტო ელემენტების მიმართ
 - ❖ ტერიტორიის დაგეგმარების მიმართ
 - ❖ ტერიტორიის კეთილმოწყობის მიმართ
 - ❖ შენობის გარე და შიდა სივრცეების მოწყობისადმი
 - ❖ საევაკუაციო გზებისა და მისადგომებისადმი
 - ❖ ბუნებრივი და ხელოვნური განათებისადმი
 - ❖ კარ-ფანჯრისა და ვიტრაჟების მოწყობისადმი
 - ❖ სახანძრო უსაფრთხოებისადმი

- ▶ იმ სამშენებლო მასალებითა ნუსხის განსაზღვრა რომლის გამოყენებაც დაუშვებელია მშენებლობისას

რეგლამენტის აღსრულების ვადები

- ▶ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი 2020 წლის 1 აპრილიდან უნდა ამოქმედდეს იმ დაწესებულების მიმართ, რომლებიც ფუნქციონირებენ, ან რომელთა მშენებლობა და/ან რეკონსტრუქცია დაწყებულია დადგენილების მიღების დროისათვის.
- ▶ დადგენილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი გამოქვეყნებისთანავე უნდა ამოქმედდეს იმ დაწესებულების მიმართ, რომელთა მშენებლობა და/ან რეკონსტრუქცია იწყება დადგენილების მიღების შემდეგ.

რეფორმის საფუძველზე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია შემდეგი ნორმატიული აქტები:

- ❑ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების სისტემა
- ❑ სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა
- ❑ დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები, ქცევისა და ეთიკის ნორმები
- ❑ საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მისაღებია:

- ❑ დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ძირითადი პასუხისმგებლობები

1 . სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებმა რეფორმის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრინციპების დაცვა :

- ▶ საჯარო დაწესებულებებში ბავშვთა უფასო აღზრდა, განათლება და კვება
- ▶ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ნებაყოფლობითობა, საყოველთაოობა და ხელმისაწვდომობა შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის
- ▶ სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდება

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ძირითადი პასუხისმგებლობები

2 . სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებმა რეფორმის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ ეროვნული სტანდარტების აღსრულება

მათ შორის:

- ▶ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო და სასკოლო მზაობის სახელმწიფო სტანდარტები;
- ▶ ინფრასტრუქტურის სტანდარტი;
- ▶ კვების სტანდარტი;
- ▶ წყლის, სანიტარიის და ჰიგიენის სტანდარტი;
- ▶ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი;

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ძირითადი პასუხისმგებლობები

3. თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების უზრუნველყოფა:

- ▶ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინკლუზიური განათლების მიმართულებით მომზადებული მეთოდოლოგიური რესურსების საშუალებით
- ▶ სპეცპედაგოგის, ფსიქოლოგის და მეტყველების თერაპევტის (ლოგოპედის) ინსტიტუტების განვითარებით
- ▶ ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისთვის შესაბამისი პროგრამების და რესურსების მიწოდებით, როგორც სახელმწიფო, ასევე მათ მშობლიურ ენაზე
- ▶ ფიზიკური გარემოს ადაპტირებით სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ძირითადი პასუხისმგებლობები

4 . მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის სისტემის ეფექტურობა:

- ▶ საჯარო დაწესებულებებში საკონსულტაციო საბჭოების საშუალებით მშობელთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმის შექმნა
- ▶ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესახებ მშობელთა მუდმივი ინფორმირება

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ძირითადი პასუხისმგებლობები

5 . ბავშვთა დაცვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა:

- ▶ დაწესებულების პერსონალისთვის 2016 წლის 12 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N437 დადგენილების გაცნობა, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ
- ▶ ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში უნდა გამოიყოს ბავშვთა ძალადობის თავიდან აცილებისთვის და ბავშვთა ძალადობისგან დაცვისთვის პასუხისმგებელი პირი
- ▶ ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით ზედმიწევნით დაცულ უნდა იქნეს ყველა შესაბამისი წესი (მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების, მაღალი კონტროლი კვების, წყლის, სანიტარიის და ჰიგიენის, ინფრასტრუქტურის კუთხით და ა.შ) და ასევე უნდა მოხდეს უსაფრთხოების წესების გაცნობა პერსონალისთვის

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ძირითადი პასუხისმგებლობები

6 . ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და გარემოს დაცვა

- ▶ დაწესებულებებში სპორტული აქტივობების ხელშეწყობა, რათა მოხდეს ადრეული ასაკში ბავშვის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება
- ▶ გარემოს დაცვის კუთხით ადრეული ასაკიდანვე ბავშვების ცნობიერების ამაღლება და ბავშვების ჩართულობა გამწვანების ღონისძიებებში

გმადლობთ ყურადღებისთვის